დანართი N3

თანხმობა შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადებისა (დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი) და ობიექტის დაზღვევის შესახებ

1. **გარანტია**

ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოების ხარსხის უზრუნველყოფის მიზნით, შესრულებულ სამუშაოებზე ვავრცელებთ გარანტიას საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების თარიღიდან 1 (ერთი) კალენდარული წლის განმავლობაში და გამოვხატავთ თანხმობას საბოლოო ანგარიშსწორებისას განხორციელდეს ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოს ღირებულების 5%-ის დაკავება, რომლის დაბრუნება განხორციელდება დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის (საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებულ სამუშაოთა დასრულების თარიღიდან 1 წელი) დასრულების შემდეგ.

2. **დაზღვევა:**

ჩვენ მიერ სამუშაოთა წარმოების დაწყებისთანავე, საკუთარი ხარჯებითა და ფრანშიზის ღირებულების გათვალისწინებით, შემსყიდველისა და ჩვენი კომპანიის სასარგებლოდ, საქართველოში რეგისტრირებული საფინანსო ინსტიტუტიდან წარმოდგენილი დაზღვევის პოლისის გამოყენებით ვუზრუნველყობთ ობიექტის დაზღვევას ქვემოთ მოყვანილ თანხასა და ფრანშიზაზე:

2.1. მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხა ობიექტის დაზიანების კომპენსაციისათვის განისაზღვრება ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით. მისი მოქმედების ვადა უნდა ფარავდეს დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდს (1 წელს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული სამუშაოთა დასრულების თარიღიდან (მაქსიმალური დასაკავებელი თანხა: 8 500 ლარი).

2.2. მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხა მიმწოდებლის მანქანა-დანადგარების დაზიანების, ან დაკარგვის შემთხვევაში შეადგენს 50 000 ლარს (მაქსიმალური დასაკავებელი თანხა: 1 000 ლარი), რომლის მოქმედების ვადა უნდა ფარავდეს სამუშაოების მიწოდების ვადას.

2.3. მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები მესამე პირთა საკუთრების დაზიანებისათვის შეადგენს 100 000 ლარს (მაქსიმალური დასაკავებელი თანხა: 4 000 ლარი), რომლის მოქმედების ვადა უნდა ფარავდეს სამუშაოების მიწოდების ვადას.

2.4. მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები მიმწოდებლის პერსონალის ტრამვის და/ან გარდაცვალების შემთხვევაში შეადგენს 50 000 ლარს (მინიმუმ 5 000 ლარს/კაცზე, სამუშაოთა დაწყების თარიღიდან, მათი დამთავრების თარიღამდე) და მესამე პირთა დაშავების და/ან გარდაცვალების შემთხვევისათვის შეადგენს მინიმუმ 50 000 ლარს, რომლის მოქმედების ვადა უნდა ფარავდეს სამუშაოების მიწოდების ვადას.